




საქართველოს 2025 წლის პერსპექტივა: მყარი ზრდა, მკაცრი პოლიტიკა და გლობალური გაურკვევლობა

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზების მიხედვით, ივნისის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია **2025 წლის მესამე კვარტალში** საქართველოს ეკონომიკის **5.8%-ით**, ხოლო მეოთხე კვარტალში **6.3%-ით** ზრდა. ჩვენი პროგნოზის თანახმად, 2025 წელს წლიური ზრდა **7.3%** იქნება.





მონეტარული ინდიკატორებიდან, 2025 წლის ივნისში უცხოური ვალუტის დეპოზიტები (FC_DEPTOT) წლიურად 9.8%-ით გაიზარდა, რაც დოლარიზაციის ზრდაზე მიუთითებს და უარყოფითად აისახება პროგნოზზე. ამის საპირისპიროდ, M2 აგრეგატი წლიურად 10.2%-ით გაიზარდა, რაც დადებითად აისახა პროგნოზზე და მიანიშნებს, რომ მონეტარული პირობები უფრო ხელსაყრელია, მოთხოვნის მხარეს კი დინამიკა გაზრდილია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8%-ზე დატოვა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ბანკი სიფრთხილეს იჩენს მზარდი ინფლაციური წნეხისა და მაღალი მაკროეკონომიკური განუსაზღვრელობის ფონზე.

ივნისში, ექსპორტი 10.4%-ით, ხოლო იმპორტი 0.9%-ით გაიზარდა, რამაც სავაჭრო დეფიციტი 6.1%-ით შეამცირა. წმინდა ექსპორტის გაუმჯობესებამ, რაც მეტწილად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტით იყო გამოწვეული, მშპ-ის პროგნოზზე დადებითად იმოქმედა. გაუმჯობესებულმა სავაჭრო ბალანსმა მოკლევადიან პერიოდში მნიშვნელოვნად წაახალისა ეკონომიკური აქტივობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი გრძელვადიანი ეფექტი მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე კვლავ ზომიერი რჩება ქვეყნის ექსპორტის კომპოზიციიდან გამომდინარე.

2025 წლის ივნისში, ქართული ლარი თვიურ ჭრილში გამყარდა შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში: **აშშ დოლართან – 0.4%-ით, რუბლთან – 0.4%-ით, თურქულ ლირასთან – 2%-ით**. ევროსთან მიმართებაში კი, პირიქით, 2.9%-ით გაუფასურდა. გაცვლითი კურსის ასეთმა დინამიკამ უარყოფითად იმოქმედა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე, რადგან ძლიერი ლარი ამცირებს ექსპორტის კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, ოფიციალური სარეზერვო აქტივები, თვიურ ჭრილში, 103 მლნ აშშ დოლარით (2.3%) გაიზარდა, რაც გარე ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

2025 წლის ივნისის მდგომარეობით, **წლიური ინფლაცია 4%-ს შეადგენდა, რაც ოდნავ აღემატებოდა ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს**, თუმცა მაინც ასახავდა შედარებით სტაბილურ საფასო გარემოს. ამავე დროს, **Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 13.1%-ით შემცირდა**, რამაც შეამსუბუქა გლობალური საფასო წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი **ახალი ეკონომიკის სკოლის** მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.